

საქართველოს ორგანული კანონი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“

ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №25, 22.08.2001, მუხ. 107) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. მე-80 მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე დაბადებით საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობს საქართველოში.“

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატი არ შეიძლება იყოს მოქალაქე, რომელსაც არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში არ უცხოვრია საქართველოში და არც ერთ ქვეყანაში არ ღვას საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე.“

3. 88-ე მუხლის:

ა) პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„1. ხელახალი არჩევნები ტარდება, თუ არჩევნების პირველ ტურში მხოლოდ ერთი კანდიდატი მონაწილეობდა და მან ხმათა საჭირო რაოდენობა ვერ მიიღო.“

ბ) მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი შინაარსით:

„2. ხელახალი არჩევნები იმართება არჩევნების დღიდან ორი თვის ვადაში.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

განმარტებითი ბარათი

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“
ცვლილებების შეტანის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზია 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონის „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილებებისა და დამატებების შესახებ“ მიღება.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

საქართველოს 2010 წლის 15 ოქტომბრის კონსტიტუციური კანონით გათვალისწინებული კონსტიტუციის ახალი რედაქციის 70-ე მუხლთან საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისობაში მოყვანა.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

საქართველოს პრეზიდენტის არჩევასთან დაკავშირებული საარჩევნო ცენზების ცვლილება, ასევე ხელახალი არჩევნების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების დაზუსტება საქართველოს კონსტიტუციის 70-ე მუხლში განხორციელებული ცვლილებების შესაბამისად..

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ საჭიროებს დამატებითი თანხების გამოყოფას სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტის მიღებას არ ექნება გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირობების, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტის არ წარმოშობს ფინანსურ შედეგებს იმ პირობების, რომლებზეც ვრცელდება კანონპროექტი.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი არ ითვალისწინებს გადასახადს, მოსაკრებელს ან სხვა სახის გადასახდელს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტს არ ექნება გავლენა საქართველოს საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებზე.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში

ექსპერტების დასკვნები არ არსებობს

დ.გ) კანონპროექტის ავტორი

ა(ა)იპ „ევროპის იურისტ სტუდენტთა ასოციაცია საქართველო“

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი